აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირებისა და აბილიტაციის პროგრამა

შემუშავებულია
ბაღდათის ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის



მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

პროგრამის დასახელება	აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტირების, შეფასებისა და აბილიტაციის პროგრამა	**პროგრამის მიზანი**	ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება ადრეული დიაგნოსტიკისა და აბილიტაციის პროცესის მხარდაჭერის გზით.
განხორციელების არეალი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	**სრული ღირებულება**	პროგრამის განხორციელების ფინანსური საკითხების გათვალისწინებით (მოცემულია ქვემოთ) პროგრამის ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მიერ.
სამიზნე ჯგუფი	აუტიზმის სპექტრის მქონე 2-15 წლის ბავშვები	**ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა**	
განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური	**სხვა სახსრები**	

პროგრამის ზოგადი აღწერა
აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირების, შეფასებისა და აბილიტაციის პროგრამა შემუშავებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 2-15 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომლებსაც განესაზღვრათ აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკის, განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასებისა და/ან აბილიტაციის საჭიროება კვალიფიციური სპეციალისტის მიერ. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებას მათი ადრეული დიაგნოსტიკისა და აბილიტაციის პროცესის მხარდაჭერის გზით. პროგრამა მოიცავს ერთი მხრივ, საჭიროების მქონე ბავშვების დიაგნოსტირებას, მათი განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასებას და მეორე მხრივ, შესაბამისი მომსახურების დაფინანსებას. *2020 წლის განმავლობაში პროგრამა განხორციელდება პილოტურ რეჟიმში.
პროგრამის განხორციელების წინაპირობა/ პრობლემის აღწერა
ყოველწლიურად აუტიზმით ან აუტიზმის სპექტრის მქონე დიაგნოსტირებული ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი მატულობს და 2014 წლის მონაცემებით, 68 ბავშვიდან ერთს აუტიზმის სპექტრი აღენიშნება[1] (CDC, 2014). ამასთან, გამოცდილება აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია ბავშვების ადრეული შეფასება და ბავშვსა და ოჯახთან მუშაობის დროულად დაწყება. რეაბილიტაციის ყველაზე ეფექტურ მეთოდად კი დღეს მსოფლიოში ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპია (ABA) მიიჩნევა, რომელიც ინტენსიური თერაპიული მუშაობის შედეგად, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების განვითარებაში მნიშვნელოვან წინსვლას აჩვენებს[2]. 2019 წელს,

[1] ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი, 2014

[2] ბავშვის განვითარების ინსტიტუტი

მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების შეფასების შედეგად[3], გამოიკვეთა რომ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების დიაგნოსტირებისა და აბილიტაციის საკითხი, ერთ-ერთი იმ სოციალურ პრობლემათაგანია, რომლის საპასუხოდაც მუნიციპალიტეტის მიერ არ ხორციელდება მხარდამჭერი პროგრამა და თემში ამის საჭიროება იკვეთება. სწორედ ამიტომ, წინამდებარე პროგრამის შემუშავების მიზანია უპასუხოს აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს და შესთავაზოს ქცევითი თერაპიის მომსახურებების დაფინანსება, რაც მათ სოციალური ფუნქციონირების ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზანია ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ/მცხოვრები აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება ადრეული დიაგნოსტიკისა და აბილიტაციის პროცესის მხარდაჭერის გზით.

დასახული მიზნის შესაბამისად, პროგრამის სპეციფიურ მიზანს/ამოცანას წარმოადგენს:

- ⇒ აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტირების, შეფასებისა და ქცევითი თერაპიის საჭიროების მქონე 2-15 წლამდე მოზარდების იდენტიფიცირება;
- ⇒ საჭიროების მქონე ბავშვთა დიაგნოსტირება;
- ⇒ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება;
- ⇒ ბავშვის განვითარების საკითხებზე მშობლის/მეურვე-მზრუნველისათვის კონსულტაციის გაწევა;
- ⇒ აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების ქცევითი თერაპია.

პროგრამის სამიზნე ჯგუფი და ჩართვის კრიტერიუმები

პროგრამის სამიზნე ჯგუფებია: ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები, რომლებსაც სპეციალისტის მიერ განესაზღვრათ აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკა, განვითარებისა და ფუნქციონირების შეფასება და/ან ქცევითი თერაპიის საჭიროება. პოტენციური ბენეფიციარები უნდა აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- 2-15 წლამდე მოზარდები, რომლებსაც პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ განესაზღვრათ აუტიზმის დიაგნოსტირების საჭიროება;
- 2-15 წლამდე მოზარდები, რომელთაც განესაზღვრათ განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასების საჭიროება;
- 2-15 წლამდე მოზარდები, რომლებსაც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით, განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0- F84.9) ჯგუფი განესაზღვრათ ძირითადად დიაგნოზად/დაუდგინდათ აუტიზმის სპექტრი.

* ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა[4] დამოკიდებულია მიმართვიანობაზე საპილოტე წლის განმავლობაში.

[3]თვისებრივი კვლევა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს“ კოორდინაციით

[4] მაღალი მომართვიანობის რისკის დაზღვევის მიზნით, დამატებით კრიტერიუმად შეიძლება განსაზღვრულ იქნას ოჯახის სარეიტინგო ქულა (სიღარიბის პროგრამის მონაცემთა ბაზა).

პროგრამის განხორციელების პროცედურები (წესი)

პროგრამაში ჩართვისათვის პოტენციური ბენეფიციარის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს განცხადებით მომსახურების დაფინანსების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

- დიაგნოსტირების/შეფასების საჭიროების მქონე პირის დაბადების მოწმობის (ან პასპორტის, ან იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის) ასლი;
- ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემულია განაცხადის წარდგენამდე არაუმეტეს, 2 თვით ადრე და მასში მითითებულია ბავშვის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი.

განაცხადის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ ხდება საკითხის განხილვა, რომლის საფუძველზეც 7 სამუშაო დღის ვადაში მზადდება საპასუხო დოკუმენტაცია განმცხადებლისათვის. მომმართველისათვის მომსახურების დაფინანსებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გაიცემა საგარანტიო წერილი (დანიშნულების ადგილზე წარსადგენად) მერიის მიერ ანაზღაურებადი თანხის მითითებით.

ბენეფიციარისათვის მომსახურების დაფინანსება დიაგნოსტირების მიზნით ხდება ერთჯერადად (დიაგნოსტირების ღირებულება - 250 ლარი 1 ბენეფიციარზე), ხოლო განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასების მიზნით 6 თვეში ერთხელ (შეფასების ღირებულება 150 ლარის ოდენობით 1 ბენეფიციარზე). ასევე, აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების ქცევითი თერაპიის დაფინანსება ხდება წლის განმავლობაში 400 ლარის ოდენობით 1 ბენეფიციარზე (სეანსის ღირებულება დამოკიდებულია მომსახურების მიმწოდებელზე).

ბენეფიციარისთვის მომსახურების მიწოდების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი: 1. ბენეფიციარის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ თერაპიის შეწყვეტის თაობაზე პირადი განაცხადი (წერილობითი ფორმით); 2. ბენეფიციარის მიერ თერაპიის მინიმუმ 2 სეანსის ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენა; 3. ბენეფიციარის სხვა ტერიტორიულ ერთეულში საცხოვრებლად ან სხვა მიზნით გადასვლა; 4. ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური საკითხები

პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურებების ღირებულება 1 ბენეფიციარზე:

- **აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკა** - საშუალო ღირებულება გაგოშიძის ცენტრში შეადგენს 250 ლარს (დიაგნოსტირება ხდება ერთხელ);
- **განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასება** (მიზანშეწონილია საშუალოდ 6 თვეში ერთხელ გაკეთდეს და გულისხმობს, ბავშვის განვითარების შეფასებას, პროგრამის განსაზღვრასა და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას) - მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 150 ლარს (დამოკიდებულია სპეციალისტზე);
- **ქცევითი თერაპია** - საშუალო ღირებულება შეადგენს 20 ლარს 1 სეანსისთვის (როგორც წესი, თერაპიის მიწოდება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე მოზარდობის პერიოდის განმავლობაში მუდმივად. სპეციალისტი მიყვება ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას).

მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

პროგრამის განხორციელების ვადები		
პროგრამა ხორციელდება პილოტურ რეჟიმში 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგი თანმიმდევრული ეტაპების დაცვით:		
აქტივობა	**განხორციელებაზე პასუხისმგებელი რგოლი**	**განხორციელების პერიოდი**
1. პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები		
1.1 დიაგნოსტირების, განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასებისა და ქცევითი თერაპიის მიმწოდებლის კვალიფიკაციის მქონე დაწესებულებების მოძიება	მერიის სოციალური და იურიდიული სამსახური	იანვარი-თებერვალი
1.2 მომწოდებლებთან მოლაპარაკება/ ხელშეკრულების გაფორმება	მერიის სოციალური და იურიდიული სამსახური	თებერვალი
2 პროგრამის განხორციელება		
2.2 პროგრამის თაობაზე პოტენციურ ბენეფიციართა ინფორმირება	მერიის სოციალური სამსახური	თებერვალი - მარტი
2.3 დაინტერესებული პირების განაცხადების წარდგენა და მომსახურებით მათი უზრუნველყოფა	მერიის სოციალური სამსახური და მომსახურების მომწოდებელი დაწესებულება	თებერვალი-დეკემბერი
3 ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება		
3.1 შუალედური მონიტორინგის განხორციელება	მერიის სოციალური სამსახური	ივნისი - ივლისი
3.2 საბოლოო მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება	მერიის სოციალური სამსახური	დეკემბერი

პროგრამის პარტნიორიები

პროგრამის ძირითადი პარტნიორი იქნება სამედიცინო დაწესებულება/ორგანიზაცია, რომელსაც აქვს აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტირების, შეფასებისა და ქცევითი თერაპიის განხორციელების კვალიფიკაცია/სერტიფიკატი და მსგავსი მომსახურების მიწოდების გამოცდილება. ორგანიზაციის მიერ დაქირავებულ სპეციალისტებს, უნდა ჰქონდეთ ADOS ტესტისა და ABA თერაპიის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მომსახურება შესაძლოა განხორციელდეს ადგილზე (ბაღდათში), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებთან თანამშრომლობით, და ასევე, ბენეფიციარის სურვილიდან და ადგილზე არსებული შეზღუდული რესურსიდან გამომდინარე, შესაძლოა მომსახურება მიწოდებულ იქნას სხვა ქალაქში.

პროგრამის განხორციელებისათვის, აუცილებელია ადგილობრივმა მერიამ უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათთან მოლაპარაკება მომსახურების პირობებისა და მიწოდების ტექნიკურ/შინაარსობრივი საკითხების მხრივ. პროგრამის განხორციელების დაწყებამდე, პოტენციურ მიმწოდებელთან შეხვედრები მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას განსაზღვროს პროგრამის მასშტაბები და ყველა საჭირო პროცედურა, რაც პროცესში გამოწვევების პრევენციას უზრუნველყოფს.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ადამიანური რესურსები: პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია:

<u>პროგრამის მიწოდებასა და მონიტორინგი/შეფასებაზე პასუხიმგებელი პირი/ები</u> - ბაღდათის მერიის სოციალური სამსახურის სპეციალისტი/ები, რომელიც პასუხისმგებელია განაცხადების მიღებასა და მომსახურების მიწოდებაზე, ასევე იბარებს კონტრაქტორი დაწესებულებიდან დოკუმენტებს და უზრუნველყოფს მონიტორინგის განხორციელებას პროგრამის მიმდინარეობაზე. ამასთან, წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში უწევს მხარდაჭერას კონტრაქტორ დაწესებულებებს პრობლემის დროულად გადაწყვეტაში.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი <u>სამედიცინო დაწესებულების/ორგანიზაციის წარმომადგენელი</u>, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- აუტისტური დარღვევის მქონე ბავშვების დიაგნოსტირება, შეფასება და ოჯახების კონსულტირების პროცესის კოორდინაცია;
- რეაბილიტაციის პროცესის კოორდინაცია;
- ბაღდათის მერიის სოციალური სამსახურის სპეციალისტებთან ინფორმაციის გაცვლა.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი <u>სამედიცინო დაწესებულების/ორგანიზაციის წარმომადგენელი/სუპერვაიზორი</u>, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- თერაპევტების პროფესიული ზედამხედველობა;
- შეფასებისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შესრულების ზედამხედველობა.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: გაცემული დაფინანსება, შესაძლოა ფარავდეს დიაგნოსტიკის, განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასებისა და ქცევითი თერაპიის ხარჯებს.

პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ერთი მხრივ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური და მეორე მხრივ, სამედიცინო დაწესებულების/ორგანიზაციის საკონტაქტო პირი. პროგრამის წარმატება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორების გათვალისწინებით[5]:

- აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტირების მიზნით მომმართველთა რაოდენობა;
- განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასების მიზნით მომმართველი ოჯახების რაოდენობა (რომელთაც მიმართეს დაფინანსების თაობაზე) გაზრდილია 80%-ით;
- განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასების მიზნით დაფინანსებული მოზარდების რაოდენობა, შეადგენს თავდაპირველად განსაზღვრული რაოდენობის 90%ს;
- განხორციელებული შეფასებების/დიაგნოსტიკის ჯამური რაოდენობა;
- ქცევითი თერაპიის სერვისის მიღების მიზნით მომართვების რაოდენობა გაზრდილია 80%-ით;
- ქცევითი თერაპიის სერვისით დაკმაყოფილებულია მომმართველ პირთა 90%;
- სოციალური ფუნქციონირების ხარისხი გაუმჯობესებულია პროგრამით მოსარგებლე ბავშვებში;
- მომსახურების მიმღებთა 80%-ის მიერ დადებითად იქნა მიწოდებული მომსახურება შეფასებული.

მონიტორინგი განხორციელდება როგორც შუალედური (ივნისი-ივლისი), ისე შემაჯამებელი სახით, პროგრამის განხორციელების 1 წლის თავზე. საბოლოო მონიტორინგის დროს ასევე უზრუნველყოფილ იქნება კმაყოფილების კითხვარის შევსება მომსახურების მიმღებისა ანდა მათი ოჯახის წევრის მიერ.

[5] ინდიკატორების რაოდენობრივი მახასიათებლები, ამ ეტაპზე ნულოვანია

რისკები და მასთან გამკლავების გზები
პროგრამის განხორციელებისას შეიძლება წამოიჭრას სხვადასხვა რისკები, რომელზე საპასუხოდაც მნიშვნელოვანია გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები: - **მომართვიანობა:** გამომდინარე იქიდან, რომ რაიონში არ არის დაზუსტებული სტატისტიკური ინფორმაცია აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკის, განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასებისა და ქცევითი თერაპიის საჭიროების მქონე ბავშვების შესახებ, პირველადი რაოდენობრივი გათვლები შესაძლოა არ დაემთხვეს საბოლოო ბენეფიციართა რაოდენობას. პილოტური წლის განმავლობაში შესაძლებელია, როგორც მომართვიანობის დაბალი, ისე მაღალი რისკის წინაშე დადგეს პროგრამა. მსგავსი რისკების თავიდან აცილების მიზნით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მუშაობა მოსახლეობის ინფორმირებაზე და მეორე მხრივ, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები, რაც პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფების გამოყოფას შეუწყობს ხელს (მაგ. ოჯახის სარეიტინგო ქულა სიღარიბის დაძლევის ბაზაში). - **მომსახურების მიწოდება:** პროგრამის სპეციფიური შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელია პირველივე ეტაპზე მოხდეს სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების იდენტიფიცირება და მათთან კომუნიკაცია, რაც ანგარიშგების საკითხებისა და პროგრამის განხორციელების ნაბიჯების ზუსტად გაწერის საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.